საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8261/01
27/08/2020

8261-01-2-202008271709

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა

კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ცენტრს

მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N99

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 18 აგვისტოს N06/3438; N06/3431; N06/3430 სკოპინგის განცხადებები (სამინისტროში რეგისტრაციის ნომრებით: N13044; N13045; N13046), რომლებიც ეხება ქ. თბილისში, ქ. ბათუმში და ქ. ქუთაისში მდებარე ფილიალების ლაბორატორიებში არსებული ინსინერატორების ნაცვლად, ახალი ინსინერატორების მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხდება საპროექტო ტერიტორიების სრულად იდენტიფიცირება. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები და საპროექტო ტერიტორიების საკადასტრო კოდები. ამასთან გაცნობებთ, რომ:

- ქ. ბათუმში, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენები) ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) და ქ. თბილისში, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ტერიტორიაზე, სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენები) ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) სკოპინგის განცხადებებზე თანდართული shp ფაილები არ ემთხვევა საპროექტო შენობა-ნაგებობას და შესაბამისად საჭიროებს კორექტირებას;
- ქ. ქუთაისში, „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის“ სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის განცხადებაზე თანდართული shp ფაილები არ შეიცავს მონაცემებს;

- გაზრდილი წარმადობიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშებში წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასება, მათ შორის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები;
- ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ასევე გაზრდილი წარმადობიდან და მოსალოდნელი ზემოქმედებიდან გამომდინარე, მოსახლეობასთან სიახლოვის გათვალისწინებით, სამივე პროექტის შემთხვევაში სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკოპინგის დასკვნების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებებს დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე